დასრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები				
N	**შემსრულებელი/სახელი გვარი**	**სამეცნიერო კვლევითი პროექტის დასახელება**	**პროექტის დასრულების ვადა**	**განთავსების ადგილი**
1	**არჩილ ჩაჩხიანი**	„რუსეთ საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში (1918-1920 წლებში)“	2013-2014 წ.	თავდაცვის აკადემიის ბიბლიოთეკა; http://eta.library.ac.ge/

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი სამხედრო-სამეცნიერო ხასიათის გამოკვლევაა, რომელშიც მდიდარ წყარო – მცოდნეობით ბაზაზე დაყრდნობით, ქართულ ისტორიოგრაფიაში მეცნიერული თვალსაზრისით პირველადაა წარმოდგენილი 1918-1920 წლებში ქართული შენაერთების საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთსა და შავი ზღვისპირეთში.

განხილულია ბოლშევიკური რუსეთისა და თეთრგვარდიული მოძრაობის იმპერიული ექსპანსიონიზმის არსი, ამ იდეოლოგიით გამყარებული სამხედრო-პოლიტიკური აგრესია პირველი ქართული რესპუბლიკასთან მიმართებაში. ნაშრომში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი ამიერკავკასიაში " ბრიტანული საოკუპაციო ჯარების ფაქტორს და მისი სარდლობის ორსახოვან პოლიტიკას.

წარმოდგენილი სამხედრო ხასიათის საარქივო დოკუმენტაციის (ფოტომასალა, პატაკები, მოხსე ნებითი ბარათები, ოპერატიული შიფროგრამები, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის სხდომების ოქმები და სხვა) დიდი ნაწილი პირველადაა შემოტანილი სამეცნიერო ბრუნვაში, რომელთა ანალიზის საფუძველზე განხილულია 1918-1920 წლებში სოხუმისა და სოჭის“ ოლქებში მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკური პროცესები – ბოლშევიკთა წითელგვარდიული რაზმების, თეთრგვარდიული ნაწილებისა და ქართული საჯარ რისო შენაერთების მიერ წარმოებული საბრძოლო მოქმედებები ჩატარებულია რეგიონში მიმდინარე პოლი ტიკური პროცესების ანალიზი, ხოლო სამხედრო ხელოვნების კუთხით – ბრძოლების ტაქტიკური ანალიზი.

წიგნი განკუთვნილია საქართველოს შეიარაღებული ძალების ოფიცრებისა და შეჯცნიერ ისტორიკოსებისათვის, აგრეთვე სამხედრო ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო

წრისათვის.				
2	**არჩილ ჩაჩხიანი**	რუსეთი და თურქეთი: ბოლშევიკურ-იტიჰადისტური ენიგმა (1920-1922)	2013-2015 წ.	თავდაცვის აკადემიის ბიბლიოთეკა; http://eta.library.ac.ge

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი სამეცნიერო ისტორიული ხასიათის გამოკვლევაა. მასში რუსული ,,რევოლუციური მესიანიზმისა და ბოლშევიკთა ,,მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის კონცეფციების ფონზე ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველადაა წარმოდგენილი საბჭოთა რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასა და ოსმალთა იმპერიის ყოფილი მმართველი ტრიუმვირატის წევრებს შორის 1920-1922 წლებში არსებული ღრმად გასაიდუმლოებული სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები. მაშინ მოსკოვს ხშირად უწოდებდნენ მრავალრიცხოვანი ,,აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხების მექას˜. კრემლში კი ერებისა და სახელმწიფოების მოწყობის სრულიად წარმოუდგენელი გეოპოლიტიკური პროექტები იბადებოდა, რომელიც დამყარებული იქნებოდა არა მარტო სისტემურ-პოლიტიკურ, არამედ იდეოლოგიურ, კონფესიურ და ეთნიკურ მახასიათებლებზე.

ნაშრომში მდიდარ წყაროთმცოდნეობის ბაზაზე დაყრდნობით, სხვადასხვა ავტორთა ნაშრომების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე განხილულია ის გეოპოლიტიკური ვითარება, რაც I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დამყარდა ოსმალეთისა და რუსეთის პოსტიმპერიალისტურ სივრცეებში. წიგნში რუსულ-ოსმალური ბოლშევიკურ-იტიჰადისტური ურთიერთობების ფონზე წარმოდგენილია მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ეგიდით დაწყებული რუსული ექსპანსიის პროცესები ,,აღმოსავლეთად˜ წოდებულ ისლამურ ქვეყნებში.

წიგნი განკუთვნილია საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების ოპერატიული დონის ოფიცრებისა და მეცნიერ-ისტორიკოსებისათვის, აგრეთვე პოლიტიკური ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა წრისათვის.

3	**არჩილ ჩაჩხიანი**	სამხედრო შეცდომების ენციკლოპედია ტომი I - სალამინიდან სუშიმამდე	2017-2018 წ.	თავდაცვის აკადემიის ბიბლიოთეკა; http://eta.library.ac.ge

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი გერმანელი ავტორის, ჰანს-დიტერ ოტოს წიგნის, „სამხედრო შეცდომების ენციკლოპედია _ სალამინიდან ერაყის ომამდე", ქართულ ენაზე გამოცემული გადამუშავებული და რედაქტირებული ვერსიაა. ეს წიგნი მოვლენათა ქრონოლოგიაზე აგებული შემეცნებითი, სამხედრო-ანალიტიკური ხასიათის ნაშრომია. მასში თავმოყრილია ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიის მრავალშრიანი პლასტის მთელი წყება - კაცობრიობის 2500 წლიანი ისტორია, რომელიც მის მიერ წარმოებულ 46 ომს, საომარ კამპანიას თუ ცალკეულ ბრძოლას მოიცავს. წიგნში დროის ექვსი მონაკვეთია გამოყოფილი და მოიცავს მოვლენების ქრონოლოგიურ ჩარჩოს _ ძველი წელთაღრიცხვის 480 წლიდან ჩვენს დრომდე, 2003 წლის ერაყის ომის ჩათვლით. უფრო დეტალურად, ეს არის ძვ.წ. 500-

ახ.წ. 1000, 1000-1700, 1700-1914, 1914-1938, 1939-1945 და 1945-2003 წლების ომებში, საომარ კამპანიებსა თუ ცალკეულ ბრძოლებში ადამიანთა მიერ ოპერაციების დაგეგმვის, მართვისა და აღსრულების პროცესში დაშვებული შეცდომების ანალიტიკური რეტროსპექტივა. ქართული ვერსიის დიდი მოცულობიდან გამომდინარე, წიგნი ორ ტომად წარმოვადგინეთ. პირველი ტომი თემატურად მოიცავს საომარი კამპანიების განხილვას სალამინის ბრძოლიდან პირველ მსოფლიო ომამდე, რუსეთ-იაპონიის ომის ცუშიმას ბრძოლის ჩათვლით. ქრონოლოგიურად ეს არის დროის პერიოდი ძველი წელთაღრიცხვის 480 წლიდან ახალი წელთაღრიცხვის 1905 წლის ჩათვლით.

წიგნში შეტანილი ათასამდე განმარტების, შენიშვნისა თუ კომენტარის შემეცნებითი ხასიათიდან გამომდინარე, მას ინტერესით წაიკითხავს როგორც დამწყები, სამხედრო საქმეში გაუთვითცნობიერებელი მკითხველი და ფართო საზოგადოება, ასევე სამხედრო ლიცეუმის კადეტი თუ ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერი, ოფიცერთა უმცროსი და საშუალო რგოლის სამეთაურო შემადგენლობა თუ ოპერატიული და სტრატეგიული დონის სამხედრო მოსამსახურე.

4	**არჩილ ჩაჩხიანი**	სამხედრო შეცდომების ენციკლოპედია ტომი II ლიეჟიდან ერაყის ომამდე.	2018-2019 წ.	თავდაცვის აკადემიის ბიბლიოთეკა; http://eta.library.ac.ge

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი გერმანელი ავტორის, ჰანს-დიტერ ოტოს წიგნის, „სამხედრო შეცდომების ენციკლოპედია _ სალამინიდან ერაყის ომამდე", ქართულ ენაზე გამოცემული გადამუშავებული და რედაქტირებული ვერსიაა. ეს წიგნი მოვლენათა ქრონოლოგიაზე აგებული შემეცნებითი, სამხედრო-ანალიტიკური ხასიათის ნაშრომია. მასში თავმოყრილია ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიის მრავალშრიანი პლასტის მთელი წყება _ კაცობრიობის 2500 წლიანი ისტორია, რომელიც მის მიერ წარმოებულ 46 ომს, საომარ კამპანიას თუ ცალკეულ ბრძოლას მოიცავს. წიგნში დროის ექვსი მონაკვეთია გამოყოფილი და მოიცავს მოვლენების ქრონოლოგიურ ჩარჩოს _ ძველი წელთაღრიცხვის 480 წლიდან ჩვენს დრომდე, 2003 წლის ერაყის ომის ჩათვლით. უფრო დეტალურად, ეს არის ძვ.წ. 500-ახ.წ. 1000, 1000-1700, 1700- 1914, 1914-1938, 1939-1945 და 1945-2003 წლების ომებში, საომარ კამპანიებსა თუ ცალკეულ ბრძოლებში ადამიანთა მიერ ოპერაციების დაგეგმვის, მართვისა და აღსრულების პროცესში დაშვებული შეცდომების ანალიტიკური რეტროსპექტივა. ქართული ვერსიის დიდი მოცულობიდან გამომდინარე, წიგნი ორ ტომად წარმოვადგინეთ. მეორე ტომი თემატურად მოიცავს საომარი კამპანიების განხილვას პირველი მსოფლიო ომის ლიეჟის ბრძოლიდან ერაყის პირველ ომამდე. ქრონოლოგიურად ეს არის დროის პერიოდი 1914 წლიდან 2003 წლის ჩათვლით.

წიგნის მეორე ტომში შეტანილი ექვსასზე მეტი განმარტების, შენიშვნისა თუ კომენტარის შემეცნებითი ხასიათიდან გამომდინარე, მას ინტერესით წაიკითხავს როგორც დამწყები, სამხედრო საქმეში გაუთვითცნობიერებელი მკითხველი და ფართო საზოგადოება, ასევე სამხედრო ლიცეუმის კადეტი თუ ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერი, ოფიცერთა უმცროსი და საშუალო რგოლის სამეთაურო შემადგენლობა თუ ოპერატიული და სტრატეგიული დონის სამხედრო მოსამსახურე.

5	**არჩილ ჩაჩხიანი**	,,მწვანე ნახევარმთვარე		თავდაცვის აკადემიის

		წითელი ვასკვლავის ორბიტაზე - ისლამინტერნი, რევოლუციური პანისლავიზმი თუ დიდი თურანი?''	2020 წ.	ბიბლიოთეკა; http://eta.library.ac.ge

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი სამეცნიერო ისტორიული ხასიათის გამოკვლევაა და იგი ავტორის მიერ 2015 წელს გამოცემული მონოგრაფიის ,,რუსეთი და თურქეთი: ბოლშევიკურ-იტიჰადისტური ენიგმა (1920-1922)" შემოკლებული ვერსიაა.

წიგნში რუსული ,,რევოლუციური მესიანიზმისა" და ბოლშევიკთა ,,მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის˜ კონცეფციების ფონზე წარმოდგენილია საბჭოთა რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასა და ოსმალთა იმპერიის ყოფილი მმართველი ტრიუმვირატის წევრებს შორის 1920-1922 წლებში არსებული ღრმად გასაიდუმლოებული სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები. იმ წლებში მოსკოვს ხშირად უწოდებდნენ მრავალრიცხოვანი ,,აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხების მექას". კრემლში კი, ერებისა და სახელმწიფოების მოწყობის სრულიად წარმოუდგენელი გეოპოლიტიკური პროექტები იბადებოდა, რომელიც დამყარებული იქნებოდა არა მარტო სისტემურ-პოლიტიკურ, არამედ იდეოლოგიურ, კონფესიურ და ეთნიკურ მახასიათებლებზე.

წიგნი განკუთვნილია თავდაცვის სისტემის თანამშრომლებისათვის, აგრეთვე პოლიტიკური და სამხედრო ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა წრისათვის.

6	**ნიკოლოზ ესიტაშვილი**	,,პირველი მსოფლიო ომის შემდგომი ალიანსის დინამიკა დიდ ძალებს შორის''	2016-2019 წ.	ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი

ანოტაცია

ეს კვლევა ამტკიცებს, რომ გარე საფრთხის არარსებობა და ინტერესთა შეუთავსებადობა დიდ სახელმწიფოებს შორის არ იწვევს თანამშრომლობას. მე გავაანალიზებ პირველი მსოფლიო ომის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს, რათა დავადასტურო და/ან გავაყალბო ზემოხსენებული ჰიპოთეზის მართებულობა. უფრო კონკრეტულად, მე გამოვიძიებ, რატომ არ განაგრძეს სამმა ანტანტის წევრმა სახელმწიფომ სამხედრო თანამშრომლობა დიდი ომის დასრულების შემდეგ.

ცივი ომის დასასრულის მსგავსად, პირველი მსოფლიო ომის დროს სამხედრო მარცხის შედეგად გაქრა მთავარი მეტოქე ან გეოსტრატეგიული საფრთხე, რომელიც ხელს უწყობდა სამხედრო კოალიციის შექმნას, ევოლუციას და ფუნქციონირებას 1907 წლიდან. მიუხედავად ამისა, განსხვავებით 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლისა და კაპიტულაციისა, რამაც გამოიწვია ცივი ომის დასრულება, და მიუხედავად ამისა ნატომ განაგრძო არსებობა, სამმაგი ანტანტის წევრმა ქვეყნებმა არ გააგრძელეს სამხედრო თანამშრომლობა თავიანთი ალიანსის ფარგლებში 1918 წლის შემდეგ. შევეცდები ვაჩვენო, რომ ახსნა იმაში მდგომარეობს, რომ 1919 წელს დიდი სახელმწიფოების - კერძოდ, აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის - ეროვნული ინტერესები შეუთავსებელი იყო. ისინი განსხვავებულად უყურებდნენ პირველი მსოფლიო ომის

შემდგომ გლობალურ პოლიტიკურ წესრიგს. კვლევა დეტალურად განიხილავს ამ დიდი სახელმწიფოების ინდივიდუალურ ეროვნულ ინტერესებს და თუ როგორ გამორიცხა ეროვნული ინტერესების შეუთავსებლობამ ანტანტის ალიანსის გაფართოება და შემდგომი სამხედრო თანამშრომლობა პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ.

ABSTRACT

This study posits that the absence of an external threat and incompatibility of interests among great powers do not lead to cooperation. I will analyze the post-World War One developments to confirm and/or falsify the validity of the above-mentioned hypothesis. More specifically, I will investigate why the Triple Entente members did not continue military cooperation after the end of the Great War.

Similar to the end of the Cold War, the main rival or geostrategic threat that fueled the inception, evolution, and functioning of the military coalition since 1907 disappeared as the result of the military defeat during WWI. Yet, unlike after the collapse and capitulation of the Soviet Union in 1991 that led to the end of the Cold War and when NATO continued its existence, member-states of the Triple Entente did not continue, nor extended their military cooperation within their alliance and/or engage in common military projects beyond 1918. I will try to show that the explanation lies in the fact that the national interests of the great powers in 1919 − namely, the U.S.A., Great Britain, and France − were incompatible. They viewed post-world war I global political order differently. Subsequent to explaining the background and alliance politics of WWI, the study will discuss in detail the individual national interests of these great powers on the winning side of the Great War and how the incompatibility of their national interests precluded the extension of the Triple Entente alliance and further military cooperation beyond the end of the First World War in 1918.

7	**თინათინ კროპაძე**	„იუნკერის ლიდერად ჩამოყალიბების ფსიქო-სოციალური მახასიათებლები (საქართველოს თავდაცვის მაგალითზე)“	2017-2019 წ.	თავდაცვის აკადემიის ბიბლიოთეკა; http://eta.library.ac.ge

ანოტაცია

მონოგრაფია ეძღვნება თავდაცვის ძალებში მოქმედი იუნკრების, როგორც მომავალი მეთაურების, აღზრდის და წვრთნის პროცესში ჩართული სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორების განსაზღვრას.

ნაშრომში განხილულია საქართველოს თავდაცვის ძალებში ოფიცერთა ლიდერობის საკითხი, მისი არსი, მიზანი და ამოცანები. ლიდერობის თეორიული მოდელების განხილვისას, პარალელია გავლებული მენეჯმენტისა და ფსიქოლოგიის სფეროებს შორის; აღწერილია არსებული შეხედულებების მსგავსება-განსხვავებები; ასევე, განხილულია ლიდერობის სოციალური და ფსიქოლოგიური თეორიული მოდელები; საქართველოს თავდაცვის ძალებში მოტივაციის საკითხი, მისი კლასიფიკაციის პრინციპები, შეფასების კრიტერიუმები და ფსიქოლოგიური მექანიზმები; დახასიათებულია საქართველოს თავდაცვის ძალების მოსამსახურეთა (იუნკერების, ოფიცრების და სამეთაურო კორპუსის მსოფლიო სამშვიდობო მისიებში ჩართულობის) მოტივაციის განმსაზღვრელი ფაქტორები; გაანალიზებულია თავდაცვის სისტემაში, კერძოდ კი, ეროვნული თავდაცვის აკადემიაში მოქმედი

დასჯა-წახალისების მექანიზმები და მათი შედეგები. ნაშრომში დასაბუთებულია წარმატებული მეთაურის ჩამოყალიბების პროცესზე მოქმედი ერთი მხრივ, პიროვნული მახასიათებლები, მეორე მხრივ, – არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში (ეროვნული თავდაცვის აკადემიაში) არსებული გარემო, იუნკერი – მეთაურის ურთიერთდამოკიდებულებები. მოცემულია კვლევის თეორიული ნაწილი, კვლევის პროცედურა, შედეგების აღწერა, ანალიზი და დასკვნები. კვლევის მიზნის მისაღწევად, რამოდენიმე საკვლევი ინსტრუმენტია გამოყენებული, რომლებიც ნაშრომს დანართის სახით თან ერთვის. კვლევის შედეგები, დასკვნები და რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებულ იქნას მეცნიერ-თანამშრომლების, სტუდენტების და დოქტორანტების, საქართველოს თავდაცვის ძალების და ნებისმიერი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ.				
8	**რომა გალდავა, ნანა არაბული, გიორგი კოხრეიძე, გიორგი კაკაშვილი, გიორგი საზანდრიშვილი, ლევან ჭოლიკიძე**	"პარარლელური დაპროგრამების ალგორითმების კვლევა მრავალგანზომილებიანი ამოცანებისათვის"	2022-2023 წ.	**ETA-02** თავდაცვის აკადემიის ბიბლიოთეკა; http://eta.library.ac.ge

ანოტაცია

ცნობილია, რომ ბუნებაში მიმდინარე ფიზიკური პროცესების შესწავლას და მოდელირებას ხშირ შემთხვევაში მივყავართ მრავალგანზომილებიანი სასაზღვრო ამოცანების განხილვამდე, რომელთა ამოხსნა და რეალიზაცია კლასიკური ანალიზური მეთოდებით პრაქტიკულად შეუძლებელია. შესაბამისად მნიშვნელოვანია ამ პროცესში თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება, რაც თავის მხრივ, მოითხოვს რიცხვითი რიცხვითი ალგორითმების აგების აუცილებლობას. ამ კუთხით ერთ-ერთ უნივერსალურ მეთოდს წარმოადგენს ნახევრად დისკრეტიზაციის მეთოდი/ალგორითმი, რომელიც ეფუძნება დროითი ცვლადის მიმართ წარმოებულის დისკრეტიზაციას.

დღეისათვის ნახევარ დისკრეტიზაციის (წრფეთა) მეთოდის გამოყენებაზე სასაზღვრო ამოცანებისათვის მრავალი ნაშრომია მიძღვნილი, განხილულია სხვადასხვა სახელმძღვანელოებსა, მონოგრაფიებსა და სტატიებში.

აღნიშნულ ალგორითმს გააჩნია ის უპირატესობა, რომ ამ შემთხვევაში მიღებული სისტემა შეგვიძლია ამოვხსნათ სასრულ-სხვაობების მეთოდით, თუ მოვახდენთ სივრცითი კოორდინატების მიმართ წარმოებულების შემდგომ დისკრეტიზაციას, რომელთა რიცხვითი რეალიზაცია შედარებით მარტივია. ამავე დროს, რეალიზაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია თვით ალგორითმების ოპტიმალურობა და ეკონომიურობა, რაც გაცილებით ამარტივებს გამოთვლების პროცესს, განსაკუთრებით მრავალ განზომილებიანი ამოცანების შემთხვევაში.

პრაქტიკული რეალიზაციის მხრივ ამ მიმართულებით ბევრი მიდგომა არსებობს. ისინი ზოგადად ცნობილია ე. წ. დეკომპოზიციის (წილადბიჯიანი, ჯამური აპროქსიმაციის) ალგორითმების სახელწოდებით, რომლებიც შეიძლება გავყოთ ორ ჯგუფად: მიმდევრობითი და პარალელური თვლის ალგორითმებად.

სამეცნიერო პროექტი დაეთმობა სწორედ პარალელური ტიპის ალგორითმების კვლევას, მათი

მდგრადობის, კრებადობის და სხვადასხვა პარამეტრებზე სიზუსტის დამოკიდებულების საკითხებს. თეორიულ კვლევასთან ერთად განხორციელდება მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია და ვიზუალიზაცია გამოყენებითი პროგრამული პაკეტის Maple - ს საშუალებით.				
9	**გიორგი სხირტლაძე** **ნიკოლოზ ესიტაშვილი**	„ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის „ჭკვიანი თავდაცვის“ პროგრამის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის ძალების როლის გაფართოების პერსპექტივები“	2023 წ.	**ETA-06** თავდაცვის აკადემიის ბიბლიოთეკა; http://eta.library.ac.ge
ანოტაცია დღესდღეობით, ნატო-ს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში და შესაბამისად ამ ორგანიზაციაში გაწევრიანება წარმოადგენს საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნატოს ფუნდამენტური სტრატეგია/პროგრამა „ჭკვიანი თავდაცვა“, რომელიც გულისხმობს თავდაცვის არსებული ბიუჯეტების უფრო ეფექტურად ხარჯვას, ერთობლივი მუშაობას, გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებას და მრავალეროვნულ პროექტებში მოკავშირეთა რესურსების კოორდინაციას, საქართველოს თავდაცვის ძალების როლის გაფართოებისთვის წარმოადგენს ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს. კვლევის ძირითადი მიზანი იქნება „ჭკვიანი თავდაცვის“ პროგრამაში საქართველოს როლისა და ფუნქციის გაანალიზება. აღნიშნული პროგრამა ინიცირებული იყო ნატოს მიერ 2012 წელს ეკონომიკური კრიზისის საპასუხოდ. პროგრამა მიზნად ისახავდა ეფექტურ-დანახარჯიანი თავდაცვის მექანიზმის შექმნას და ეფუძვნებოდა პრიორიტიზაციის, სპეციალიზაციისა და მრავალეროვნული თანამშრომლობის პრინციპებს.				
10	**შალვა კვეზერელი** **გივი დუჩიძე**	„სასურსათო რისკები და საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები“	2022 -2023 წ.	**ETA-08** თავდაცვის აკადემიის ბიბლიოთეკა; http://eta.library.ac.ge
ანოტაცია - სურსათი ოდითგანვე წარმოადგენდა ადამიანაებზე ზემოქმედების მძლავრ ბერკეტს. ის ასევე იყო მნიშვნელოვანი იარაღი ერთ ქვეყნის მხრიდან მეორეზე ზემოქმედებისათვის, საკუთარი ინტერესების გასატარებლად; - ბოლო დროს პანდემიისა და საომარი ესკალაციების პირობებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა შეიძინა საქართველოსათვის სასურსათო რისკების საკითხმა. აქ უპირველესად იგულისხმება ქვეყნის სასურსათო თვითკმარობის საკითხი; - ქვეყნის წინაშე თავი იჩინა ისეთმა გამოწვევებმა, როგორიცაა: მოსახლეობის ნორმალური				

	არსებობისათვის აუცილებელი „სტრატეგიული სურსათის“ სიმცირემ, რაც თავის მხრივ საფრთხეს უქმნის ქვეყნის მდგრად განვითარებას. არ იქნება გადამეტებული თუ ვიტყვით, რომ სასურსათო რისკებმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას ქვეყნის თვითმყოფადობის საკითხსაც; - თემა განსაკუთერბით აქტუალურად მიგვაჩნია იქიდან გამომდინარე, რომ არაერთი მკვლევარის მონაცემების საფუძველზე, შესაძლებელია ქვეყნის წინაშე არსებული სასურსათო რისკების მნიშვნელოვნად შემცირება; - მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს იმ ძირითადი შემაფერხებელი გარემოებების გამოვლენა, რის გამოც ქვეყნის წინაშე ასე მძაფრად დგას სასურსათო რისკები; - ძალზედ ცვალებადი და რთულად პროგნოზირებადი გარემო, მოითხოვს სწრაფ გადაწყვეტილებებს. სასურსათო რისკების შემცირება ძირითადად უკავშირდება ისეთი სახის საქმიანობას რაც დროში გაწელილია, შესაბამისად მნიშვნელოვანია სწრაფად მათზე რიაგირება. გაეროს სასურსათო პოლიტიკის მესვეურების უახლესი დასკვნები არ არის დამაიმედებელი, მათში მკაფიოდ იკითხება მსოფლიოში სასურსათო გამოწვევები და რაც ყველაზე საყურადღებოა ეს გამოწვევები არის მზარდი.			
11	**არჩილ ჩაჩხიანი**	„სომხეთ-საქართველოს ომი. ნაწილი პირველი. სომხური საკითხის დასმიდან დაპირისპირებულ მხარეთა სტრატეგიებამდე”	2020-2023 წ.	**ETA-012** თავდაცვის აკადემიის ბიბლიოთეკა; http://eta.library.ac.ge

ანოტაცია

1. ჩვენი ნაშრომი მიძღვნილია 1918-1919 წლებში დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემისადმი, რაც ასე აქტუალურია დღესაც, თანამედროვე ეტაპზე, საქართველოს დარღვეული ტერიტორიული მთლიანობის პირობებში. შესაბამისად, იგი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებსაც მოიცავს.
2. აღნიშნული საკითხი ეპიზოდურად დამეტ-ნაკლები სიღრმით აქვს განხილული ზოგიერთ ქართველ და უცხოელ ავტორს, თუმცა, ამ პრობლემის სიღრმისეული, არგუმენტირებული და სისტემური წარმოდგენა არ მომხდარა. დასმული პრობლემა მონოგრაფიულად არ შესწავლილა.
3. მრავალი ასპექტით ეს უმნიშვნელოვანესი თემა საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის მკვლევართა მიერ ჯეროვნად არ და ვერ იყო შესწავლილი, ხოლო სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით, იგი კიდევ ერთ დიდ თეთრ ლაქას წარმოადგენდა ომების ისტორიაში. ქართულ ისტორიოგრაფიაში სომხეთ-საქართველოს ომის თემატიკა სამხედრო-ისტორიული თვალსაზრისით ფაქტიურად შეუსწავლელი იყო, რაც გარკვეულწილად ალბათ სანდოობის მაღალი ხარისხის მქონე შესაბამისი საარქივო მასალების მიუწვდომლობითა და იმ ინტერნაციონალური იდეოლოგიური წნეხის არსებობით უნდა აიხსნას, რაც ქართველთა და სომეხთა იძულებითი, სამოცდაათწლიანი პერიოდის ტოტალიტარულ რეჟიმში თანაცხოვრებით იყო გამოწვეული ერთიან, უნიტარულ საბჭოთა იმპერიაში.

4.	იმდენად, რამდენადაც დასმული თემა მეტ-ნაკლები მოცულობითა და სიღრმით ჩართულია თავდაცვის სისტემის სხვადასხვა სპეციფიკისა და დონის სასწავლო პროგრამებში, აღნიშნული საკითხის ძირფესვიან შესწავლას დიდი საგანმანათლებლო და შემეცნებითი ღირებულება გააჩნია.			
12	**თინათინ კროპაძე ქეთევან კვესელავა**	„საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, როგორც“ „პედაგოგიური კვლევის კომპონენტად გამოყენება და მისი ფსიქოლოგიურ-პედაგოგური ანალიზი“	2022-2023 წ.	**ETA-09** თავდაცვის აკადემიის ბიბლიოთეკა; http://eta.library.ac.ge
ანოტაცია განათლების სფეროში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გამოყენების მეთოდოლოგიური საფუძვლების შექმნასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებს შორის, განიხილება მეთოდოლოგიის სტრუქტურული კომპონენტების იდენტიფიცირების საკითხები. მათთან ურთიერთმიმართებაში, ასევე საყურადღებოა მეთოდოლოგიის კომპონენტების არჩევის ნიმუშების შესწავლა სხვადასხვა ფსიქოლოგიურ და პედაგოგიურ სიტუაციებში. ამ კანონზომიერებების ანალიზი და აღრიცხვა, დღესდღეობით პედაგოგიური კვლევის აუცილებელ იმ კომპონენტად იქცა, რომელიც დაკავშირებულია სასწავლო პროცესში შემუშავებული მეთოდოლოგიის ეფექტურობის თეორიული დასაბუთების მიზნით, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მეთოდოლოგიის აგებასთან. კვლევაში შემუშავებული იქნება დიდაქტიკური სემინარის შინაარსის ვარიანტი სტუდენტთათვის პედაგოგიურ განათლებაში, რომელიც ორიენტირებულია ცოდნის ფორმირებასა და გაგებაზე, რათა გათვალისწინებულ იქნას საგანმანათლებლო პროცესში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მეთოდოლოგიის კომპონენტებს შორის ურთიერთობის ფსიქოლოგიური და პედაგოგიური ასპექტები. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროცესში, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) დანერგვასთან დაკავშირებული უახლესი ცვლილებები გამოხატავს საკითხს არსებული თეორიის აქტუალობაზე, მის უნარზე ახსნას მიმდინარე ცვლილებები, შეაფასოს შესაძლებლობები, პოტენციური უპირატესობები და უარყოფითი მხარეები არა მხოლოდ დისტანციურ, არამედ ტრადიციულ (სააუდიტორიო) სწავლებაშიც.				
13	**ნიკოლოზ ესიტაშვილი**	„სამხედრო ალიანსებს შორის თანამშრომლობის სახეები“	2022 -2023 წ.	**ETA-04** თავდაცვის აკადემიის ბიბლიოთეკა; http://eta.library.ac.ge
ანოტაცია				

კვლევაში დეტალურად იქნება აღწერილი დიდი სახელმწიფოების ინტერესები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მათი ინტერესების შეუთავსებლობა და როგორ აიძულა მათ საერთო საფრთხეებმა დაეძლიათ მათი ინტერესების შეუთავსებლობა და ეთანამშრომლათ ახალ სამხედრო ალიანსში. კვლევა ხაზს უსვამს მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო ფაქტორებს რომლებიც გავლენას ახდენენ ქვეყნების უსაფრთხოებაზე და მათ სამხედრო ალიანსის პოლიტიკაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ ფაქტორების განსაკუთრებული დინამიურობა, რომელიც გამომდინარეობს ამ ეპოქისთვის სპეციფიური განვითარებებიდან. ასევე აღსანიშნავია რომ ეს სპეციფიური განვითარებები გადაიქცა თანამედროვე რეალობის განუყოფელ ელემენტად. ასეთი კვლევა საინტერესო იქნებოდა როგორც აკადემიური წრეებისთვის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში, ასევე ფართო საზოგადოებისთვის მოიცავს რა ისეთ თემას როგორიცაა უსაფრთხოება და ალიანსების გავლენა მასზე. კვლევა გააანალიზებს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს, როგორც ამ მხრივ საყურადღებო შემთხვევას. ამ კვლევაში ნაჩვენები და გამოძიებული იქნება, რატომ არ განაგრძეს მოკავშირე ძალებმა - ძირითადად, აშშ-მ, საბჭოთა კავშირმა, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა - სამხედრო თანამშრომლობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ისევე, როგორც ცივი ომის შემდეგ, სამხედრო კოალიციის მთავარი გეოსტრატეგიული მეტოქე აღარ წარმოადგენდა საფრთხეს, მაგრამ ცივი ომისგან განსხვავებით, სახელმწიფოებმა არ განაგრძეს თანამშრომლობა ალიანსის ფარგლებში და/ან არ ჩაერთნენ საერთო სამხედრო პროექტებში.				
14	**თორნიკე ქიმერიძე, გივი სანაძე, ნათია ჯალაღონია.**	"რადიაციული დეფექტების გავლენა ნახევარგამტარულ მასალებსა და მათ ფუძეზე შექმნილ ხელსაწყოებზე (დეტექტორები, სენსორები)"	2022 – 2023 წ.	**ETA-05** თავდაცვის აკადემიის ბიბლიოთეკა; http://eta.library.ac.ge

ანოტაცია

თანამედროვე ნახევარგამტარული ტექნოლოგიების საბაზა SiGe შენადნობების მოცულობითი მონოკრისტალების რეალურ სტრუქტურაში არსებული და გარეშე ფაქტორებით (რადიაცია, იმპულსური თერმული დატვირთვა, დეფორმაცია) ფორმირებული დეფექტების ენერგეტიკული და კრისტალოგრაფიული მახასიათებლების შესწავა და ფუნდამენტურველექტროფიზიკურ, ოპტიკურ და მექანიკურ თვისებებზე მათი გავლენის მექანიზმების დადგენა იძლევა შესაძლებლობებს შეიქმნას SiGe-ს საფუძველზე მაღალეფექტური 3-განზომილებიანი და 2-განზომილებიანი ახალი ნახევარგამტარული მასალები. ამჟამად სილიციუმ-გერმანიუმის კომპონენტები ფართოდ გამოიყენება მიკროელექტრონიკაში ანალოგიურ-ციფრული გარდამქმნელებისა და პროცესორების დასამზადებლად. მათი საიმედოობა ენერგომოხმარება და ინტეგრაციის ხარისხი მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული SiGe მასალების სტრუქტურის სრულქმნილობაზე. აღსანიშნავია, რომ SiGe მიკროსქემები მუშაობის

პროცესში გამოჰყოფს ნაკლებ სითბოს ვიდრე მისი კონკურენტები InP და GaAs, რაც აჩვენებს მათ

უკეთერსს თერმულ მდგრადობას. SiGe-ს საფუძველზე BiCMOS (დიდი ინტეგრალური სქემები მეტალო-ოქსიდ-ნახევარგამტარ SiGe-ზე) საშუალებას იძლევა რეალიზებული იქნას მრავალი ოპერაციული-გამოთვლითი ფუნქცია ერთ ჩიპზე რთულფუნქციონალური მოწყობილობებისათვის. SiGe ტექნოლოგიებს გააჩნიათ რეალური პერსპექტივები ზემაღალი სიხშირეების გამზომ სისტემებში გამოსაყენებლად. ამასთან ერთად აღნიშნული ტექნოლოგიაფოკუსირებულია ფართო კომერციულ გამოყენებაზე InP და GaAs-საგან განსხვავებით, რომლებშიც მოთხოვნადია მხოლოდ ვიწროსპეციალიზირებული მიმართულებებისათვის. SiGe ტექნოლოგიებისადმი არსებული მაღალი ინტერესი განპირობებულია ასევე მაღალსიხშირული ინტეგრალური სქემების შექმნის შესაძლებლობებით, რამაც გააფართოვა გაშვების ზოლი 100 გჰც-მდე. ამჟამად უკვე გამოიყენება SiGe ჩიპები გლობალური პოზიციონერების სისტემებში (GPS, Galileo), რაც პერსპექტიულია X- და V- დიაპაზონების რადარული სისტემებისა და მეტად მაღალი სიჩქარის ინტერნეტისათვის.				
15	**ნათია ჯალაღონია თორნიკე ქიმერიძე გივი სანაძე**	„ელექტრომაგნიტური გამოსხივების გავლენა გარემოზე“	2022-2023 წ.	**ETA-010** თავდაცვის აკადემიის ბიბლიოთეკა; http://eta.library.ac.ge
ანოტაცია თანამედროვე ტექნოლოგიები იქცა ელექტრომაგნიტური დაბინძურების წყაროდ, მათგან წარმოქმნილი ელექტრომაგნიტური ველებით და შედეგად მიღებული ელექტრომაგნიტური გამოსხივებით. ხშირ შემთხვევაში, ეს დაბინძურება ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე ელექტრომაგნიტური ველის ან რადიაციის ნებისმიერი ბუნებრივი წყარო. უსადენო და რადიო კომუნიკაცია, ელექტროგადამცემი ან ყოველდღიური მოხმარების მოწყობილობები, როგორიცაა სმარტფონები, ტაბლეტები და პორტატული კომპიუტერები, ყოველდღიურად ახდენენ ადამიანებზე ელექტრომაგნიტურ დაბინძურებას. ამ დაბინძურებით გამოწვეული ზიანი ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რადგან არ 2022 – 2023წ.წ.არსებობს ადამიანებზე მისი უარყოფითი გავლენის მკაფიო და საბოლოო მტკიცებულება. მიუხედავად იმისა, რომ დაბალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ველები იყო კლასიფიცირებული, როგორც პოტენციური კანცეროგენი. ამ მიზეზების გამო, ბოლო ათწლეულებში მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნება სამეცნიერო კვლევებში ცოცხალ ორგანიზმებზე ელექტრომაგნიტური ველების და/ან ელექტრომაგნიტური გამოსხივების გავლენის შესახებ.				
16	**ქ.ჭიაბრიშვილი**	„ტრანსფორმაციული	12 თვე	**ETA – 07**

	რ.დალაქიშვილი **თ.კროპაძე**	სწავლა-სწავლების მართვის გამოწვევები და შედეგები ეთა-ს მაგალითზე“	(2022 – 2023)	

ანოტაცია

კოვიდ 19-ით გამოწვეულმა პანდემიამ ახალი რეალობის წინაშე დააყენა მსოფლიოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები. ახალი რეალობაში აღმოჩნდა განათლების სისტემაც.
პანდემიის და დისტანციური სწავლება–სწავლის ფონზე, განვითარებადი ეკონომიკისა და დაბალი ტექნოლოგიური განვითარების პირობებში, განათლების სექტორი ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი სივრცე აღმოჩნდა საქართველოს მასშტაბით.

არსებული ვითარების გამო, საქართველოს, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები სერიოზული გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. არჩევანი ორი იყო: - ან სწავლის პროცესი უნდა შეეჩერებინათ, ან გაეგრძელებინათ ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოში; საგანმანათლებლო პროცესის გასაგრძელებლად, ონლაინ სწავლებაზე გადასვლა ორი წლის განმავლობაში, უალტერნატივო გზა აღმოჩნდა. მიუხედავად ტექნოლოგიური უზრუნველყოფისა, პანდემიამ მნიშვენლოვანი ხარვეზი გააჩინა განათლების სისტემის ისტორიაში, რომელმაც, ყველა კონტინენტის, 190-ზე მეტი ქვეყნის, 1.6 მილიარდ მოსწავლესა და სტუდენტზე მოახდინა გავლენა (განათლების სექტორის მიმოხილვა COVID-19 პანდემიის პირობებში; 2021).
აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყანებში, ელექტრონული სწვლება უკვე ათეულობით წლებია მიმდინარეობს, შესაბამისად, ასეთ ქვეყნებში ბევრად ადვილად დაიგეგმა და შესრულდა პანდემიის გამო განათლების ტრანსფორმაციის მიმართულებით შესასრულებელი რეგულაციები. საქართველოში ამ კუთხით მცირე გამოცდილება არსებობდა ცალკეულ უმაღლეს სასწავლებლებში დისტანციური კურსების სწავლების გამოცდილების სახით, თუმცა, შექმნილი რეალობა ბევრად რთული აღმოჩნდა და შედეგად, სრულად დისტანციურად, ან ჰიბრიდული მეთოდით სწავლა-სწავლების პროცესში მრავალი გაუთვალისწინებელი პრობლემა გაჩნდა (ტექნიკური რესურსების ნაკლებობა, ამ რესურსების გამოყენების ნაკლები ცოდნა, ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა, პროფესიული გადამზადების აუცილებლობა, ახალ რეალობაში სწავლისადმი ინტერესის შენარჩუნება, და სხვ.). საჭირო გახდა ამ მიმართულებით, მართვის ერთიანი, თანმიმდევრული და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც დღემდე არ კარგავს აქტუალობას და თანამედროვე სამეცნიერო კვლევების მიზანს წარმოადგენს.

17	**თინათინ კროპაძე**	„კონფლიქტის სტრატეგია და მისი ფსიქოლოგიური ასპექტები“	12 თვე (2022-2023 წ.)	**ETA-03**

ანოტაცია

კონფლიქტი ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, რომელიც სწორ გააზრებას, ხშირად

<table>
<tr><td colspan="5">თავიდან არიდებას, აღმოფხვრას და აღმოცენების შემთხვევაში, გონივრულ გადაწყვეტას საჭიროებს. ამ ფაქტის გათვალისწინებით, ადამიანები და ჯგუფები, კონფლიქტურ სიტუაციაში, განსხვავებულ სტრატეგიულ მიდგომებს იყენებენ. ამასთან, საკითხს ართულებს იმ გარემოების გაუთვალისწინებლობა, რომ კონფლიქტში ჩართული მხარეები განსაკუთრებული ფსიქოლოგიური მახასიათებლების და უნარების მატარებლები არიან. ამიტომ, კონფლიქტში ფსიქოლოგიის როლი აუცილებლად გასააზრებელი და გასათვალისწინებელი კომპონენტია.
მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით მოძიებული სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით შექმნილი მეთოდოლოგიური სახელმღვანელო მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს მკითხველს, აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ მკითხველს, ახალგაზრდებს და სტუდენტებს, სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზე.</td></tr>
<tr><td>18</td><td>ლევან ნიკოლეიშვილი</td><td>,,ლიდერობის ძირითადი ასპექტები''</td><td>2 თვე (2024 წლის თებერვალი)</td><td>ETA-020</td></tr>
<tr><td colspan="5">ანოტაცია

ჩვენ მიერ საკითხის შესწავლისა და კვლევის შედეგად გამოტანილი დასკვნები საშუალებას მოგვცემს გაგებული და გააზრებული იქნას ლიდერის როლი საზოგადოების ინტეგრაციისა და შემდგომი დემოკრატიზაციის პროცესში.
ნაშრომში არსებული მასალები და განზოგადებანი, სავარაუდოდ, შეავსებს ქართულ პოლიტიკურ მეცნიერულ ლიტერატურაში ლიდერისა და საზოგადოების ინტეგრაციის სფეროში არსებულ სიცარიელეს.
ნაშრომი გამოადგება სოციალურ, პოლიტიკურ და უსაფრთხოების სფეროთი დაინტერესებულ მეცნიერებს, დოქტორანტებს, მაგისტრანტებს და დარგის სპეციალისტებს.</td></tr>
<tr><td>19</td><td>ნიკოლოზ ესიტაშვილი</td><td>,,თურქეთის მზარდი გეოპოლიტიკური როლი და გავლენა სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოებაზე''</td><td>6 თვე (2024წ.)</td><td>ETA-023</td></tr>
</table>

ანოტაცია

ეს კვლევა აჩვენებს, რომ RSCT არის შესანიშნავი ინსტრუმენტი რეგიონული უსაფრთხოების შესასწავლად. RSCT-ის მიხედვით, რეგიონული დონე არის ყველაზე მნიშვნელოვანი ან თუნდაც ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორც გლობალური ან შიდა დონეები. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს არის ერთადერთი დონე, ან ერთადერთი მნიშვნელოვანი დონე საერთაშორისო უსაფრთხოების შესასწავლად. RSCT განასხვავებს გლობალურ და რეგიონულ დონეებს და დინამიკას და იძლევა უსაფრთხოების განვითარებული მოვლენების უფრო ნიუანსირებული ახსნის საშუალებას. RSCT უკეთ ხსნის, თუ როგორ ურთიერთქმედებენ გლობალური და ადგილობრივი დინამიკები საბოლოო შედეგზე - ქვეყნების უსაფრთხოებაზე. მოცემული კვლევისთვის RSCT გამოიყენება თურქეთის, რუსეთის, ევროკავშირისა და აშშ-ის როლის შესასწავლად სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოებაში. მიუხედავად იმისა, რომ ამ კვლევაში აქცენტი კეთდება თურქეთზე, კვლევა აჩვენებს, რომ RSCT არის ინტერაქტიულად დინამიური და ეს კვლევა თეორიულად და ემპირიულად აღწერს ევროკავშირის, აშშ-ს, რუსეთისა და თურქეთის წვლილს სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოებაში ცივი ომის შემდეგ.

20	**ზურაბ მჭედლიშვილი**	,,სამხედრო ხელოვნების ისტორია. დამხმარე სახელმძღვანელო იუნკერებისათვის. ნაწილი პირველი'' (სუნ ძის ,,ომის ხელოვნება,“ ანტიკური ეპოქის სამხედრო ხელოვნება-ძველი საბერძნეთი და რომი)	**6 თვე (2024 წ.)**	**ETA-022**

ა ნ ო ტ ა ც ი ა

დამხმარე სახელმძღვანელოს ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს ცალკეულ პერიოდებს ძველი აღმოსავლეთის ხანიდან ანტიკური პერიოდის მიწურულამდე. წარმოდგენილი საკითხავი მასალა მეტად საინტერესოა ევროპისა და აზიის სამხედრო ხელოვნების განვითარების კუთხით. კერძოდ, სახელმძღვანელოში შეკრებილია ამ დარგის ქართველი და ამერიკელი მკვლევარების ნაშრომები აღნიშნული პერიოდის სამხედრო ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენებისა და სამხედრო ლიდერების შესახებ. წარმოჩენილია ამ უკანასკნელთა განსაკუთრებული როლი(პიროვნული თვისებები, აზროვნებისა და მართვის უნარები) ბრძოლებსა და სამხედრო კამპანიებში გამარჯვების ან დამარცხების საქმეში. სახელმძღვანელო შედგება წინასიტყვაობისა და ოთხი თავისაგან, ბოლოში ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია. სახელმძღვანელო უხვად არის ილუსტრირებული.

21	**ზურაბ მჭედლიშვილი**	,,სამხედრო ხელოვნების ისტორია. დამხმარე სახელმძღვანელო იუნკერებისათვის. ნაწილი მეორე'' (ვახტანგ გორგასალი, ადრეფეოდალური ეპოქის ევროპული სამხედრო ხელოვნება, დავითისა და თამარის ეპოქების სამხედრო ხელოვნება)	**3 თვე (2024 წ.)**	**ETA-028**
ა ნ ო ტ ა ც ი ა დამხმარე სახელმძღვანელოს მეორე ნაწილის ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს ცალკეულ პერიოდებს ადრეფეოდალური ეპოქიდან ვიდრე შუა საუკუნეების მიწურულამდე (ასწლიანი ომის დამთავრება ევროპაში). წარმოდგენილი საკითხავი მასალა მეტად საინტერესოა აღნიშნული პერიოდის ევროპისა და საქართველოს სამხედრო ხელოვნების განვითარების კუთხით. სახელმძღვანელო შედგება ოთხი თავისაგან; I თავი-ვახტანგ გორგასლის სამხედრო ხელოვნება, უჯარმის ბრძოლა; II თავი-დასავლეთ ევროპის სამხედრო ხელოვნება, ჯვაროსნული ომები, ასწლიანი ომი-კრესისა და აზენკურის ბრძოლები; III თავი-დავით აღმაშენებლის სამხედრო ხელოვნება, დიდგორის ბრძოლა და IV თავი-თამარის ეპოქის სამხედრო ხელოვნება, შამქორისა და ბასიანის ბრძოლები. ბოლოში ერთვის საკითხავი ლიტერატურის სია. სახელმძღვანელო უხვად არის ილუსტრირებული. სახელმძღვანელოში შეკრებილია ამ დარგის ქართველი და ამერიკელი მკვლევარების ნაშრომები აღნიშნული პერიოდის სამხედრო ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენებისა და სამხედრო ლიდერების შესახებ. წარმოჩენილია ამ უკანასკნელთა განსაკუთრებული როლი(პიროვნული თვისებები, აზროვნებისა და მართვის უნარები) ბრძოლებსა და სამხედრო კამპანიებში გამარჯვების ან დამარცხების საქმეში.			
22	**ზურაბ მჭედლიშვილი**	,,სამხედრო ხელოვნების ისტორია. დამხმარე სახელმძღვანელო იუნკერებისათვის. ნაწილი მესამე'' (ევროპული სამხედრო ხელოვნების აღმავლობა, დენთი და რევოლუცია სამხედრო საქმეში. ნიკოლო	**3 თვე (2024 წ.)**	**ETA-029**

		მაკიაველი, გუსტავ ადოლფუსი, ფრიდრიხ დიდი. ქართველი ხალხის ბრძოლა ოსმალო და ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ, ტაშისკარის, მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლები).		

ა ნ ო ტ ა ც ი ა

დამხმარე სახელმძღვანელოს მესამე ნაწილის ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს ცალკეულ პერიოდებს აღორძინების ეპოქიდან ვიდრე მეთვრამეტე საუკუნის მიწურულამდე (ოცდაათწლიანი და შვიდწლიანი ომის დამთავრება ევროპაში). წარმოდგენილი საკითხავი მასალა მეტად საინტერესოა აღნიშნული პერიოდის ევროპისა და საქართველოს სამხედრო ხელოვნების განვითარების კუთხით. სახელმძღვანელო შედგება ორი თავისაგან; I თავი-ომის დასავლური გზის აღმავლობა-რევოლუციები სამხედრო საქმეში. მაკიაველი, გუსტავ ადოლფუსი, ფრიდრიხ დიდი; II თავი-ბრძოლა ოსმალო და ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ტაშისკარის, მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლები. ბოლოში ერთვის საკითხავი ლიტერატურის სია. სახელმძღვანელო უხვად არის ილუსტრირებული. სახელმძღვანელოში შეკრებილია ამ დარგის ქართველი და უცხოელი მკვლევარების ნაშრომები აღნიშნული პერიოდის სამხედრო ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენებისა და სამხედრო ლიდერების შესახებ. წარმოჩენილია ამ უკანასკნელთა განსაკუთრებული როლი(პიროვნული თვისებები, აზროვნებისა და მართვის უნარები) ბრძოლებსა და სამხედრო კამპანიებში გამარჯვების ან დამარცხების.

23	**ზურაბ მჭედლიშვილი**	,,სამხედრო ხელოვნების ისტორია. დამხმარე სახელმძღვანელო იუნკერებისათვის. ნაწილი მეოთხე'' (ერეკლე II-ეს სამხედრო ხელოვნება: სამხედრო რეფორმები, ჩატარებული ბრძოლები. ნაპოლეონი და მასიური არმიების წარმოშობა, საერთო-საჯარისო ბრძოლა. გერმანული სამხედრო აზრი-მოლტკე და გენერალური შტაბი).	3 თვე (2024 წ.)	**ETA-030**

<table>
<tr><td colspan="5">ანოტაცია
დამხმარე სახელმძღვანელოს მეოთხე ნაწილის ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს ცალკეულ პერიოდებს მე-18 ს-ის მეორე ნახევრიდან ვიდრე მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე (ერეკლე მეორეს ეპოქა, ნაპოლეონის ომები, ავსტრია-პრუსიისა და საფრანგეთ-პრუსიის ომები). წარმოდგენილი საკითხავი მასალა მეტად საინტერესოა აღნიშნული პერიოდის ევროპისა და საქართველოს სამხედრო ხელოვნების განვითარების კუთხით. სახელმძღვანელო შედგება სამი თავისაგან: I თავი-სამხედრო საქმე მეფე ერეკლეს ეპოქაში. კრწანისის ბრძოლა; II თავი-თანამედროვე მასირებული არმიების წარმოშობა. ნაპოლეონი; III თავი-გერმანული სამხედრო აზრი, მოლტკე და გენერალური შტაბი. ბოლოში ერთვის საკითხავი ლიტერატურის სია. სახელმძღვანელო უხვად არის ილუსტრირებული. სახელმძღვანელოში შეკრებილია ამ დარგის ქართველი და უცხოელი მკვლევარების ნაშრომები აღნიშნული პერიოდის სამხედრო ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენებისა და სამხედრო ლიდერების შესახებ. წარმოჩენილია ამ უკანასკნელთა განსაკუთრებული როლი(პიროვნული თვისებები, აზროვნებისა და მართვის უნარები) ბრძოლებსა და სამხედრო კამპანიებში გამარჯვების ან დამარცხების საქმეში.</td></tr>
<tr><td>24</td><td>პოლოკოვნიკი
გიორგი ლაღიაშვილი,
ს/პ ანანო გამსახურდია,
გენერალ-ლეიტენანტი
დავით თევზაძე,
გენერალ-მაიორი თენგიზ შუბლაძე,
ბრიგადის გენერალი
ამირან სალუქვაძე,
ბრიგადის გენერალი
ვლადიმერ იმნაძე,
ვიცე-პოლკოვნიკი ივანე ოქრომჭედლიშვილი,
ს/პ ირაკლი ბათიაშვილი,
ს/პ ნიკოლოზ ესიტაშვილი,
ს/პ თინათინ კროპაძე,
ამირან სალუქვაძე,
ბრიგადის გენერალი
ვლადიმერ იმნაძე,
ვიცე-პოლკოვნიკი ივანე ოქრომჭედლიშვილი,
ს/პ ირაკლი ბათიაშვილი,
ს/პ ნიკოლოზ</td><td>ტოტალური (ყოვლისმომცველი) თავდაცვა, როგორც საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სტაბილურობის განმსაზღვრელი ფაქტორი</td><td>2 წელი
(2022-2024 წ.წ.)</td><td>ETA- 01</td></tr>
</table>

	ესიტაშვილი, ს/პ **თინათინ კროპაძე,** ს/პ **ქეთევან კვესელავა,** ს/პ **ნაზი ჭაბაშვილი,** ს/პ **გიორგი გერგაული,** მაიორი **გიორგი ბოცვაძე**			

ანოტაცია

ქვეყნის სრულფასოვანი არსებობისა და საერთაშორისო ასპარეზზე თამამი მოქმედებისათვის, სახელმწიფოს წინაშე დგას ტოტალური(ყოვლისმომცველი) ურთიერთობების სტრუქტურის, [Type here] როგორიც „ტოტალური თავდაცვის“ კონცეფციის შექმნის საჭიროება. „ტოტალური თავდაცვა“ წინააღმდეგობის გაწევის ისეთი სტრატეგიაა, სადაც სამხედრო დაპირისპირების დროს მოსახლეობის ხვედრითი წილი, ჩართულობის თვალსაზრისით, მკვეთრად არის გაზრდილი. ჩართულობისთვის კი მოსახლეობის გაერთიანება ხდება კრიზისის დაწყებამდე მრავალი წლით ადრე და ბევრ წვრილწვრილ, უმნიშვნელოვანეს კომპონენტებს მოიცავს.

საქართველოსთვის ტოტალური თავდაცვის საკითხი დღეს-დღეობით საკმაოდ აქტუალურია გლობალური პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პროცესების, არსებული გეოპოლოტიკური გამოწვევებისა და საფრთხეების გათვალისწინებით. რუსეთის სამხედრო აქტივობებმა(საქართველოში, უკრაინაში, სირიაში) და სხვა გამოწვევებმა, ტოტალური თავდაცვის საკითხი კვლავ აქტუალური გახადა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მსგავსად, შეზღუდული რესურსების მქონე სახელმწიფოებში (სინგაპური, სკანდინავიის ქვეყნები, ბალტიისპირეთი) შემუშავებული ტოტალური თავდაცვის კონცეფციების, და საქართველოში ამ მიმართულებით გაწეული კვლევების (ჩვენ მიერ/ანუ პროექტის ავტორების) შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სტაბილურობის განმსაზღვრელი ფაქტორების მოკვლევის საჭიროება.

25	**ზურაბ მჭედლიშვილი**	სამხედრო ხელოვნების ისტორია. დამხმარე სახელმძღვანელო იუნკერებისათვის. ნაწილი მეხუთე (იმპერიალიზმის ეპოქა: ინგლის-ბურების ომი. I მსოფლიო ომი-ახალი ტექნოლოგიები და სამხედრო ხელოვნების შემდგომი განვითარება. საქართველოს შეიარაღებული ძალები 1918 წელს, ბრძოლა ოსმალური ექსპანსიის წინააღმდეგ).	3 თვე (2024 წ.)	**ETA- 031**

ანოტაცია

დამხმარე სახელმძღვანელოს მეხუთე ნაწილის ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს ცალკეულ პერიოდებს მე-19 ს-ის ბოლოდან ვიდრე მეოცე საუკუნის ოციან წლებამდე(ინგლის-ბურების ომი, I მსოფლიო ომი, ქართული ჯარი 1918-1919 წლებში). წარმოდგენილი საკითხავი მასალა მეტად საინტერესოა აღნიშნული პერიოდის ევროპისა და საქართველოს სამხედრო ხელოვნების განვითარების კუთხით. სახელმძღვანელო შედგება სამი თავისაგან: I თავი-იმპერიალიზმის ეპოქა-ინგლის-ბურების ომი; II თავი-I მსოფლიო ომი-ახალი ტექნოლოგიებისა და სამხედრო ხელოვნების შემდგომი განვითარება; III თავი-საქართველოს შეიარაღებული ძალები 1918 წელს, ბრძოლა ოსმალური ექსპანსიის წინააღმდეგ. ბოლოში ერთვის საკითხავი ლიტერატურის სია.

სახელმძღვანელო უხვად არის ილუსტრირებული. სახელმძღვანელოში შეკრებილია ამ დარგის ქართველი და უცხოელი მკვლევარების ნაშრომები აღნიშნული პერიოდის სამხედრო ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენებისა და სამხედრო ლიდერების შესახებ. წარმოჩენილია ამ უკანასკნელთა განსაკუთრებული როლი(პიროვნული თვისებები, აზროვნებისა და მართვის უნარები) ბრძოლებსა და სამხედრო კამპანიებში გამარჯვების ან დამარცხების საქმეში.

26	**ზურაბ სამხარაძე**	ცეცხლსასროლი იარაღი: ისტორია და თანამედროვეობა (დამხმარე სახელმძღვანელო)	3 თვე (2024 წ.)	**ETA- 032**

ანოტაცია

ნაშრომი მოიცავს ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს. ყურადღება გამახვილებულია ცეცხლსასროლი იარაღის კლასიფიკაციურ თავისებურებებზე. სახელმწიფოები, როგორც წესი, არეგულირებენ და ახდენენ იარაღის კლასიფიკაციას ლეგალური მიმოქცევის ფარგლების მიხედვით, მაგალითად: სამხედრო, სანადირო და სამოქალაქო; ან მათი სამართლებრივი სტატუსით: ნებადართული და აკრძალული იარაღი. ერთი და იგივე იარაღი შეიძლება განსხვავებულად იყოს კლასიფიცირებული სხვადასხვა ქვეყანაში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გაურკვევლობა, სამართლებრივი ხარვეზები, პრობლემები იარაღის იდენტიფიცირებასა და რეგისტრაციაში და ა.შ.

ნაშრომის ძირითად ნაწილში ასევე წარმოდგენილია ამჟამად არსებული სხვადასხვა სისტემის მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღების ტექნიკური მახასიათებლები, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები, რაც უდავოდ საინტერესო იქნება როგორც იუნკერებისათვის, ასევე აღნიშნული საკითხით დაინტერესებული სპეციალისტებისთვის.

27	**ზურაბ სამხარაძე**	საფორტიფიკაციო ხელოვნების ფორმირება და განვითრება ძველ აღმოსავლეთის ქვეყნებში	9 თვე (2024 წ.)	**ETA-025**

ანოტაცია

კვლევა ეძღვნება აღმოსავლეთის რიგი სახელმწიფოების საფორტიფიკაციო ხელოვნების ძეგლების შედარებით ანალიზს - ძველი ეგვიპტიდან შუა საუკუნეების ჩინეთამდე. მცდელობა გაკეთდა თავდაცვითი ნაგებობების განვითარების ძირითადი ეტაპების 9 თვე (2024 წ.)იდენტიფიცირება - თავისუფალი ციხესიმაგრიდან (ციტადელი, ციხე) ურბანული და სასაზღვრო თავდაცვითი სიმაგრეების ყველაზე რთულ სისტემებამდე, მათ შორის ციხის თხრილები, კედლები და კარიბჭეები დასაბრძოლო კოშკები. ნაჩვენებია, რომ ამ არქიტექტურული ნაგებობების ბუნება დიდწილად განპირობებული იყო ქალაქის ან დასახლების სტატუსით, მისი ბუნებრივი ლანდშაფტის მახასიათებლებით, გამოყენებული სამშენებლო მასალების სპეციფიკით, კონსტრუქციების და მასალები, სამხედრო და საინჟინრო ხელოვნების განვითარების დონით. წარმოდგენილია მასალები პოლიორცეტიკის სფეროდან (ქალაქების ალყშიმოქცევა. ბერძნული ხელოვნება), ნაჩვენებია ალყის ძრავების ძირითადი ტიპები და მექანიზმები. ასევე აღინიშნება სასაზღვრო გალავნისა და „გრძელი კედლების“ (რომაული ცაცხვის) დადებითი და უარყოფითი მხარეები. ყველაზე ნათელი მაგალითია ასურეთის, ახალი ბაბილონის, იუდეისა და ძველი ჩინეთის თავდაცვითი სისტემები.

28	**თადარიგის პოლკოვნიკი გიორგი კბილცეცხლაშვილი**	სახელმწიფო მოწყობა და ეროვნული უსაფრთხოება	(2022-2025 წ.წ.)	**ETA – 018**

ანოტაცია

სახელმწიფო მოწყობისა და ეროვნული უსაფრთხოების შესახებ სახელმძღვანელო ქართულ ენაზე არ არის გამოცემული, შესაბამისად, მისი შესრულება მნიშვნელოვანი სიახლე იქნება. სახელმძღვანელო დიდ თეორიულ და პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს სახელმწიფო მოწყობისა და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებით დაინტერესებულ პირებს.

რაც შეეხება წიგნის სამეცნიერო ღირებულებას, საკითხით დაინტერესებულ მკითხველს ექნება თეორიული და ფაქტობრივი მასალა აღნიშნული საკითხების შესახებ.

29	**ლევან ნიკოლეიშვილი**	ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების როლი თანამედროვე სამხედრო ოპერაციებში	დასრულდა 05.112024	**ETA – 027**

ანოტაცია

სამხედრო სფეროში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენება, ყოველთვის მომხიბვლელი იყო მათთვის ვინც ახალი ტექნოლოგიების გამოგონებით და განვითარებით არის დაინტერესებული. ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვა თავდაცვის სფეროში ერთგვარად ნიშნავს მო წინააღმდეგეზე უპირატესობის მოპოვებას, უფრო ეფექტურ ქმედებებსა და შესაძლებლობების გაძლიერებას. ამ შემთხვევაში ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები გამონაკლისი არ არის, მით უმეტეს, რომ იგი ერგება ფუნქციურად ყველა მიმართულებას, ეს იქნება კიბერუსაფრთხოება, ავტონომიური იარაღი, ლოჯისტიკა თუ სხვა.

ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები ასევე ქმნის მნიშვნელოვან იურიდიულ, სტრატეგიულ და ეთიკური გამოყენების რისკებს და საფრთხეებს. ამ მიმართულებით ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, ევროკავშირი და საერთაშორისო სტანდარტიზაციის ორგანიზაცია, მათ შორის ტექნოლოგიურად მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები და სხვა, აქტიურად მუშაობენ, მათ სტრატეგიებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების გამოყენება უნდა მოხდეს წევრი და პარტნიორი ქვეყნების მიერ პასუხისმგებლობით და ანგარიშვალდებულებით, აუცილებლად უნდა იქნეს დაცული ადამიანის უფლებები და ღირსება.

30	**ქეთევან კვესელავა**	გენერაციული დიზაინი	**2025 წელი**	**ETA – 036**

<table>
<tr><td colspan="5">ანოტაცია

გენერაციული დიზაინის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოყენება არის მსუბუქი, მაგრამ გამძლე სამხედრო მანქანების, თვითმფრინავების და საზღვაო გემების დიზაინში. მასალების განაწილების ოპტიმიზაციის გზით, გენერაციული დიზაინი საშუალებას იძლევა უფრო ძლიერი, მაგრამ მსუბუქი ჯავშანი, გაზარდოს მობილურობა და საწვავის ეფექტურობა დაცვაზე კომპრომისის გარეშე. საჰაერო კოსმოსურ თავდაცვაში ის ხელს უწყობს მოწინავე უპილოტო საფრენი აპარატების (უპილოტო საჰაერო ხომალდების) განვითარებას უმაღლესი აეროდინამიკით.</td></tr>
<tr><td>31</td><td>მაია გამსახურდია</td><td>უსაფრთხოების გამოწვევები შავი ზღვის რეგიონში: საერთაშორისო და რეგიონალური გავლენები რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე და მათი სამომავლო პერსპექტივები (Security Challenges in the Black Sea Region: International and Regional Implications Amid the Russia-Ukraine War and their Future Prospects)</td><td>2025 წელი</td><td>ETA – 034</td></tr>
<tr><td colspan="5">ანოტაცია

საკვლევი თემის აქტუალობას განაპირობებს შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკური მდებარეობა და გეოსტრატეგიული მნიშვნელობა, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს რეგიონის ქვეყნების როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელ ფაქტორს. აღნიშნული თემის ანალიზის აქტუალობა უფრო გაზარდა რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამ, რუსეთ-უკრაინის ომმა და რეგიონის მიმართ დაინტერესებული აქტორების მხრიდან ინტერესის ზრდამ. მიმდინარე ომის ფონზე, კონფლიქტური კერების წარმოქმნამ და მზარდმა მილიტარიზაციამ მთლიანად შეცვალა ძალთა ბალანსი შავ ზღვაზე, რამაც თავის მხრივ განაპირობა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების გარემოს არასტაბილურობა, კერძოდ, რეგიონში არსებული უსაფრთხოების გარემოს ძირეული ცვლილება და ძალთა ბალანისის</td></tr>
</table>

რადიკალური გადანაწილება. აღნიშნულმა განაპირობა შავი ზღვის აუზის უსაფრთხოების პარადიგმის ტრანსფორმაცია, რის შედეგადაც გაიზარდა დაძაბულობა, მილიტარიზაცია და სამხედრო მანევრირება. რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შედეგად შექმნილმა ახალმა რეალობამ და რეგიონალური უსაფრთხოების არასტაბილურობამ გამოიწვია შავი ზღვის აუზში მიმდინარე პროცესების მიმართ გარე აქტორების მზარდი ჩართულობა, რამაც თავის მხრივ, შავი ზღვის რეგიონი დააყენა უსაფრთხოების როგორც ახალი გამოწვევების, ისე არსებულის ზრდის ინიცირების წინაშე. შავი ზღვის აუზში მიმდინარე პროცესებში აქტიურად ჩაერთვნენ ევროკავშირი და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია.

მიმდინარე საერთაშორისო მოვლენები, რუსეთ-უკრაინის ომით განპირობებული გამოწვევები და მის საფუძველზე ჩამოყალიბებული ახალი რეალობა აიძულებს შავი ზღვის ქვეყნებს და საერთაშორისო აქტორებს გამოიჩინონ მეტი სიფრთხილე და სტრატეგიული წინდახედულება თავიანთი გეოპოლიტიკური პოლიტიკის განსაზღვრაში. მიმდინარე ტენდენციები ნათლად აჩვენებს რომ საერთაშორისო აქტორები შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებას სულ უფრო მეტად ანიჭებენ პრიორიტეტს. ეს გამოიხატება არა მხოლოდ უსაფრთხოების პოლიტიკის ინტესიფიკაციაში, არამედ რეგიონის ქვეყნებთან თანამშრომლობის ახალი ფორმატების ჩამოყალიბებაში. შედეგად ყალიბდება რეგიონის ერთიანი უსაფრთხოების არქიტექტურა, რომელიც მოიცავს როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ და ეკონომიკურ განზომილებებს. მოცემული კვლევა შეისწავლის შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების გამოწვევებს თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკურ კონტექსტში. ყურადღება დაეთმობა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს როგორიცაა ნატოს და ევროკავშირის სტრატეგიული პოლიტიკა რეგიონის მიმართ, რუსეთისა და თურქეთის გავლენების ბალანსი, ენერგეტიკული უსაფრთხოება და ეკონომიკური თანამშრომლობა. აღნიშნული ფაქტორების სიღრმისეული ანალიზი აუცილებელია იმის გასაგებად, თუ როგორ ვითარდება რეგიონული უსაფრთხოების დინამიკა და როგორ შიძლება შავი ზღვის აუზის ქვეყნების თანამშრომობის გაღრმავება გლობალური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ფაქტორები და ის გარემოება, რომ აღნიშნულ საკითხზე მცირე რაოდენობით კვლევაა ჩატარებული კიდევ უფრო ზრდის აღნიშნული კვლევის აქტუალობას.

32	**გიორგი კბილცეცხლაშვილი**	**სახელმწიფო მოწყობა და ეროვნული უსაფრთხოება**	24 თვე(2022-2023წწ.) დასრულდა 2025 წ.	**ETA-018**
ანოტაცია სახელმწიფო მოწყობისა და ეროვნული უსაფრთხოების შესახებ სახელმძღვანელო ქართულ ენაზე არ არის გამოცემული, შესაბამისად, მისი შესრულება მნიშვნელოვანი სიახლე იქნება. სახელმძღვანელო დიდ თეორიულ და პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს სახელმწიფო მოწყობისა და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებით დაინტერესებულ პირებს. რაც შეეხება წიგნის სამეცნიერო ღირებულებას, საკითხით დაინტერესებულ მკითხველს ექნება თეორიული და ფაქტობრივი მასალა აღნიშნული საკითხების შესახებ.				
33	**ნინო ოხანაშვილი**	**საგარეო პოლიტიკის ანალიზი**	24 მაისი 2022 წ. (2022-2025 წ.წ.) **დასრულდა** 2026 ივნისის ბოლოს	**ETA-015** მიმდინარე
ანოტაცია საგარეო პოლიტიკის ანალიზი ქართულ ენაზე წიგნის სახით არ არის გამოცემული, შესაბამისად, სახელმძღვანელოს შესრულება მნიშვნელოვანი სიახლე იქნება, რომელიც დიდ პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს საკითხით დაინტერესებულ პირებს. რაც შეეხება წიგნის სამეცნიერო ღირებულებას, გადაწყვეტილების მიღების მოდელები და თეორიული ჩარჩო, რომელიც წიგნის ფარგლებში იქნება განხილული, მნიშვნელოვან სამეცნიერო ღირებულებას შესძენს მას.				
34	**თინათინ კროპაძე**	**მენეჯმენტის ფსიქოლოგია**	დამტკიცდა 27.05.2025 წელი (1 წელი) **დასრულდა**	**ETA-037**
ანოტაცია სახელმძღვანელოს შინაარსი მოიცავს ორგანიზაციული ფსიქოლოგიის ისეთ საკვანძო საკითხებს, როგორიცაა: პიროვნების როლი ორგანიზაციაში, ჯგუფები ორგანიზაციაში, ორგანიზაციული სისტემა(კერძოდ, პიროვნება, როგორც მართვის ობიექტი და სუბიექტი, თანამდებობა და თანამდებობრივი უფლებამოსილებანი და ა. შ.), თვითმენეჯმენტი, პერსონალის ქცევის მართვა, კომუნიკაცია ორგანიზაციაში, ფსიქოლოგიური კონსულტირება მენეჯერებისთვის, სამსახურებრივი სტრესის რაობა, მისი მართვა და დაძლევის სტრატეგიები, ორგანიზაციული კულტურა,				

ორგანიზაციული ცვლილება და განვითარება და სხვა.

2025 წელს დასრულებული იუნკერთა და მსმენელთა პროექტები

	პროექტზე მომუშავე მკვლევართა ჯგუფი	პროექტის დასახელება	იუნკერები	დასრულების დრო
1	პროექტის ხელმძღვანელი **გივი სანაძე** პროექტის კონსულტანტი **გიორგი კოხრეიძე** პროექტის კონსულტანტი **ირაკლი ტაბატაძე**	"დისტანციურად მართვადი ბიონიკური ხელი"	იუნკერები: **გიორგი რამიშვილი ბექა კუპატაძე მარიამ ტერტერაშვილი**	22.07.2025 რექტორის მოადგილის პატაკი (N969325)
2	პროექტის ხელმძღვანელი **ლევან ჭოლიკაძე** პროექტის კონსულტანტი **გიორგი კაკაშვილი**	"დრონების ქსელური კიბერუსაფრთხოება"	იუნკერები: **ბექა კუპატაძე გიორგი რამიშვილი ელვარდი სილაგაძე**	22.07.2025 რექტორის მოადგილის პატაკი (N969325)
3	პროექტის ხელმძღვანელი **ლევან გეგეშიძე**	"ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო და სადაზვერვო აქტივობა"	იუნკერები: **გიგი ცხომელიძე გიორგი ანთაძე**	22.07.2025
4	პროექტის ხელმძღვანელი **შალვა კვეზერელი** პროექტის კონსულტანტი **ქეთევან**	"შუა დერეფანი გამოწვევები და შესაძლებლობები საქართველოსთვის''	იუნკერები: **ლუკა მიხელიძე ლუკა მოდებაძე ბესო შუბითიძე ვახტანგ დანელია**	22.07.2025 რექტორის მოადგილის პატაკი (N969325)

	ჭიაბრიშვილი			
5	პროექტის ხელმძღვანელი **ზურაბ გარაყანიძე**	,,ჩინეთის და ინდოეთის ინტერესების დაპირისპირების ზეგავლენა სამხრეთ კავკასიის რეგიონზე''	უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო პროგრამის მსმენელი **ნინო სამადაშვილი**	დამტკიცებული 08.08. 2024